თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #24

ქ. თბილისი 2022 წელი, 27 დეკემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, ნინო წულაძე, ლილე ლიპარტელიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: კონსტანტინე ზარნაძე, მამუკა გუგეშაშვილი, ზაზა თავაძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე,

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტიის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

№	**ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (საკრებულოს №12-032234375-03 - 09.12.2022)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (საკრებულოს №12-032234375-03 - 09.12.2022)

საკითხი წარმოაგინა თბილისის მუნიციპალიტეტიის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 438 775,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 193 357,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 6 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/110961) გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 33 356,8 ათასი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 170 000,0 ათასი ლარი. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (34 000,0 ათასი ლარი) მისაღები შემოსავლები თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის 10 000,0 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე. გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - „მეტის სიცოცხლე ყველა უბანში“ გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 522,096.4 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 243,813.7 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 211,901.7 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2,029.5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38,696.3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144,160.7 ათასი ლარი; განათლება - 225,917.8 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 52,531.4 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 11,436.8 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 179 548,3 ათასი ლარი. 2 ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 577 032,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 230 318,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 346 714,4 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 193 357,4 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთანü მიმართებაში გაზრდილია 114 355,0 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 33 356,8 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: - დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 622 224,4 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 74 335,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 33 356,8 ათასი ლარით მეტია). - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 208 000,0 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 34 000,0 ათასი ლარით); - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 26 000,0 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 6 000,0 ათასი ლარით); - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 474 962,8 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთანü მიმართებაში გაზრდილია 205 957,8 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 160 000,6 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407,8 ათასი ლარი (2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების

საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ) - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის); - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 170 000,0 ათასი ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაციის სამუშაოები; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები; თბილისის პარკების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სკეიტპარკების და მოედნების მოწყობა; კულტურული და სპორტული ობიექტების მშენებლობარეაბილიტაციის სამუშაოები და აღჭურვა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნარჩენის განთავსების მიზნით მე-4 უჯრედის მშენებლობა, თბილსერვისის სპეცტექნიკის შეძენა და სხვა). 3 - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 34 000,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 7 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 9 000,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 10 000,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000,0). სხვა შემოსავლები 229 845,4 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთანü მიმართებაში გაზრდილია 26 401,6 ათასი ლარით. მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 11 284,8 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 67 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 26 560,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 1 255,148.8 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 98 465,6 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება - 180 173,2 ათასი ლარი, პროცენტი - 23,219.3 ათასი ლარი, სუბსიდიები - 600 300,2 ათასი ლარი, გრანტები - 471,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 136 053,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 216,465.7 ათასი ლარით. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 321 883,8 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 279 768,3 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა – 334 768,3 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება – 55 000,0 ათასი ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი). ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100,0) ათასი ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას. ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი განსაზღვრულია (42 115,5) ათასი ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. 4 2023 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 42 115,5 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 632 132,6 ათას ლარს, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა

ვერსიასთან (1 438 775,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 153 357,4 ათასი ლარით, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 522 096,4 ათასიv ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (262 892,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 259 203,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 107 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 32 000,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 35 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 30 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 10 000,0 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიულიv შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 243 813,7 ათასი ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 20 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 11 000,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 9 000,0 ათასი ლარით; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 211 901,7 ათასიv ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (167 317,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 44 584,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 42 650,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 25 650,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 12 000,0 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 2 000,0 ათასი ლარით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 029,5 ათასი ლარით, რაც 2022 წლისv დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (1 845,0 ათასი ლარი) გაზრდილია 184,5 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 150,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 696,3 ათასი ლარით, რაცv პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია. მათ შორის: გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 659,0 5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 600,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144 160,7 ათასიv ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (176 777,0 ათასი ლარი) შემცირებულია 32 616,3 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამაში გადატანით; განათლება - 225 917,8 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულv ბიუჯეტთან მიმართებაში (208 486,9 ათასი ლარი) გაზრდილია 17 430,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 1 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 1 000,0 ათასი ლარით; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 52 531,4 ათასი ლარით, რაც 2022 წლისv დამტკიცებულ ბიუჯეტთან

მიმართებაში (48 805,5 ათასი ლარი) გაზრდილია 3 725,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 9 500,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება - 1 000,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) - 3 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 500,0 ათასი ლარით; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 11 436,8 ათასი ლარით, რაც 2022v წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (5 217,8 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 6 219,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: ცხოველთა მონიტორინგის (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები იზრდება - 5 000,0 ათასი ლარით; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 179 548,3v ათასი ლარით. რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (133 178,9 ათასი ლარი) გაზრდილია 46 369,4 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში 8 057,4 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: ქ.თბილისის საკრებულოს (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 1 500,0 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 893,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 120,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 342,6 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 535,9 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა 6 (კოდი 10 47) - 2 371,1 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 1 244,8 ათასი ლარი. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ (დეტალური ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგვლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ), დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 - პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. ასევე, წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვერსიაში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების, ფრაქციების და დამოუკიდებელი წევრების გამოთქმული შენიშვნების/რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი

პროექტი“, დასამტკიცებლად გატანილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოესს სხდომაზე.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე